

პროექტი „საქართველოს მომავალი“

საქართველოს კონფლიქტები: რატომ უნდა გადაიხედოს რადიკალური ნარატივები

ნათია ჭანკვეტაძე და ქეთევან მურუსიძე

წინამდებარე სტატია რიგით მესამეა სერიიდან, რომელიც კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის ერთობლივი პროექტის - „საქართველოს მომავალი“ - ფარგლებში ქვეყნდება.

1990-იან წლებში დაწყებული და დღემდე მოუგვარებელი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების შედეგად, ამ რეგიონების მოსახლეობა თითქმის სამი ათწლეულია დანარჩენ საქართველოს მოწყვეტილია. უკვე 30 წელია მძლავრი რუსული გავლენის ქვეშ მოქცეულ და დე ფაქტო ხელისუფლების მიერ მართულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს თბილისი ვეღარ აკონტროლებს. ყოველდღიური ურთიერთობების ნაკლებობა, ადამიანებს შორის კომუნიკაციის შეზღუდული შესაძლებლობები და, ფაქტობრივად, პოლიტიკური დიალოგის არარსებობა კიდევ უფრო აშორებს ერთმანეთს ქართველებს, აფხაზებსა და სამხრეთ ოსებს. ყოველივე ამის შედეგად, 1990-იან წლებამდე არსებული მშვიდობიანი თანაცხოვრების მეხსიერება თანდათან ფერმკრთალდება და სამივე საზოგადოებაში საჯარო დისკურსი კონფლიქტების ბუნებისა და „მეორე“ მხარის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი და რადიკალური ნარატივებით იკვებება.

ქვეყანაში მწვავედ დგას იმ რადიკალური ნარატივების კრიტიკული ანალიზის საჭიროება, რომლებიც წარმმართველია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებულ დისკურსში. როგორც სარა კობი ხსნის, რადიკალური ნარატივები კომპლექსურ კონფლიქტებს ამარტივებენ, ამყარებენ სწორხაზოვან შეფასებას საჯარო დისკურსში და ცენზურას უწესებენ მათ, ვინც ბედავს და ეჭვქვეშ აყენებს ამგვარ შეფასებებს ან განსხვავებულ აზრს გამოხატავს. ცხადია, რადიკალური ნარატივების შესახებ მსჯელობა და კამათი აუცილებელია, რაც ქართველებს კონფლიქტების კომპლექსურობის გაცნობიერებაში დაეხმარება, ასევე - იმ სხვადასხვა მიდგომის გაანალიზებაში, რომლებიც აუცილებელია აფხაზეთსა და ოსებთან სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობის ფაქტორების გამოსავლენად. თუმცა, ეს ამ რეგიონებში კონფლიქტის გადავივებასა და შენარჩუნებაში რუსეთის როლისა და პასუხისმგებლობის დაკნინებას სულაც არ ნიშნავს. უფრო მეტიც, პროაქტიული მიდგომების გამოყენებით საქართველო უნდა შეეცადოს, რუსეთის მზარდი გავლენა შეამციროს როგორც ქვეყანაში, ისე მის კონფლიქტურ რეგიონებში.

საქართველოს თვალით დანახული აფხაზური და სამხრეთ ოსური კონფლიქტები სამხრეთ ოსეთსა (1990) და აფხაზეთში (1992) განვითარებული კონფლიქტების

გამომწვევი მიზეზები არაერთგვაროვანია. რუსულმა გავლენამ, ქაოსმა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა და ქართველი, აფხაზი და ოსი პოლიტიკური ლიდერების ეთნონაციონალისტურმა მისწრაფებებმა კონფლიქტების გაღვივებაში თავისი წვლილი შეიტანა.

ყოფილმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამაც, თავისი ექსკლუზიური რიტორიკითა და უმცირესობების შესახებ დისკურსით, ასევე გარკვეული როლი შეასრულა ახალი ქართული ეროვნული პროექტისაგან აფხაზებისა და ოსების დისტანცირებაში. გამსახურდიას **პოლიტიკას** ახასიათებენ, როგორც ნაციონალიზმის, პოპულიზმის, რელიგიურობისა და კონსერვატიზმის ნაზავს. მიუხედავად ამისა, დღეს ქართული საზოგადოებისთვის მისი სახელი შეიარაღებული კონფლიქტების დაწყებასთან ნაკლებად ასოცირდება. აღსანიშნავია, რომ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრების (CRRC) მიერ კარნეგის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდისთვის **2020 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით**, გამოკითხულთა მხოლოდ 20 პროცენტი აკისრებს პასუხისმგებლობას გამსახურდიას სამხედრო კონფლიქტების წამოწყებაში (იხ. გრაფიკი 1).

იგივე დამოკიდებულება ჩანს გამსახურდიას შემდეგ პრეზიდენტთან მიმართებითაც. აფხაზეთში კონფლიქტის შეიარაღებული ფაზა 1992 წლის აგვისტოში დაიწყო - გამსახურდიას გაძევებიდან რვა თვის შემდეგ, როდესაც საქართველოს დე ფაქტო ლიდერი უკვე ედუარდ შევარდნაძე იყო. და მაინც, რესპონდენტების 21-მა პროცენტმა კითხვაზე, „რა იყო შევარდნაძის ხელისუფლების ყველაზე დიდი წარუმატებლობა“, ეკონომიკური კოლაფსი დაასახელა, ხოლო შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციის უუნარობა მხოლოდ გამოკითხულთა 11-მა პროცენტმა აღნიშნა.

სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი, მოკლე პერიოდით, 2008 წელს განახლდა ქართულ-რუსული დაპირისპირებით, რომელიც „ხუთდღიანი ომის“ სახელითაა ცნობილი და რომელსაც მალევე მოჰყვა მოსკოვის მხრიდან ორივე კონფლიქტური რეგიონის დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარება. ამ ფაქტმა საქართველოში კიდევ ერთხელ წამოსწია რადიკალური ნარატივები. აღსანიშნავია, რომ იმჟამინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კონფლიქტების მოგვარების გაჭიანურებაში რუსეთის დესტრუქციულ როლზე ყურადღება უფრო მეტად გაამახვილა. იმავე დროს, მის ხელისუფლებას საქართველოში ბევრი აკრიტიკებდა ომის თავიდან ვერაცილების გამო. დღესაც, CRRC-ის კვლევის რესპონდენტების 25 პროცენტის აზრით, სწორედ ომის თავიდან ვერაცილება იყო სააკაშვილის ყველაზე დიდი წარუმატებლობა (იხ. გრაფიკი 2).

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ 2008 წლის ომმა ქართველებს, აფხაზებსა და სამხრეთ ოსებს შორის არსებული ურთიერთობები ძირფესვიანად შეცვალა. გარდა ამისა, ომმა კიდევ უფრო გაამარტივა ნარატივი 1990-იანი წლების შეიარაღებული კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ქართველებს, აფხაზებსა და სამხრეთ ოსებს კონფლიქტების შესახებ მნიშვნელოვნად განსხვავებული ნარატივები აქვთ. სოხუმი და ცხინვალი რეგიონებში განლაგებულ რუსულ სამხედრო ძალებს საკუთარი უსაფრთხოების გარანტორად წარმოაჩენენ, ხოლო თბილისი ორივე რეგიონში **უკანონოდ განლაგებული რუსული საოკუპაციო ძალებისა** და მათი დე ფაქტო პოლიტიკური კონტროლის ზეგავლენაზე ამახვილებს ყურადღებას. თბილისის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტია, რომ რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენის აღსადგენად იყენებს არა მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, არამედ ზოგადად რეგიონში არსებულ კონფლიქტებს. 2014 წელს ყირიმის ანექსიამ და შეიარაღებული

კონფლიქტის ესკალაციამ აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთის რეალური მიზნების შესახებ დისკუსია დამატებით გააძლიერა. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში მთიან ყარაბაღში განვითარებული მოვლენებიც შეშფოთებას იწვევს, რომ რუსეთის მიერ 2020 წლის ნოემბერში კონფლიქტის ზონაში საკუთარი სამშვიდობო ძალების განლაგება სხვა არაფერია, თუ არა მთელ რეგიონზე **სამხედრო გავლენის გამყარების მცდელობა**.


კონფლიქტების გამომწვევი მიზეზებისა და რუსეთთან ომის შესახებ არსებული რადიკალური ნარატივები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით წარმოდგენებს ამარტივებს და მათი დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობასა და ნებას უგულვებელყოფს, რაც, თავის მხრივ, ყურადღების მიღმა ტოვებს რეალობას, რომ კონფლიქტური რეგიონები არა მხოლოდ დანარჩენ საქართველოს დაშორდნენ, არამედ ერთმანეთისგანაც განსხვავდებიან.

2008 წლიდან მოყოლებული, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება წარმატებით ახერხებს რუსეთის რეპრესიული კანონმდებლობის კოპირებას. ისინი არ ნიღბავენ რუსეთთან ინტეგრაციის (პირდაპირი ან ჩრდილოეთ ოსეთთან - ალანასთან შეერთების გზით) განზრახვას. ამის დასტურია რუსეთთან 2015 წლის მარტში ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელსაც „**მეკავშირეობისა და ინტეგრაციის**“ ხელშეკრულება ეწოდება. ამისგან განსხვავებით, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება უფრო ფართო ავტონომიის მოპოვებას ცდილობს და წინააღმდეგობას უწევს რუსეთის ზეწოლას აფხაზეთში საკუთრების შესახებ კანონმდებლობის შეცვლასთან დაკავშირებით, რომლის შედეგადაც რუსეთის მოქალაქეებს ქონების დაკანონების უფლება მიეცემა. აქვე აღსანიშნავია, რომ დოკუმენტს, რომელსაც აფხაზეთმა და რუსეთმა 2014 წლის სექტემბერში მოაწერეს ხელი, „**მეკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის**“, და არა - ინტეგრაციის, ხელშეკრულება ეწოდება. თუმცა, 2020 წლის ნოემბერში ხელმოწერილი შეთანხმება **ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცის** პროგრამის ფორმირების შესახებ მხოლოდ ამყარებს ქართული საზოგადოების სკეპტიციზმს აფხაზეთის რუსეთისგან რეალური ავტონომიის მოპოვების შესაძლებლობასა და სურვილთან დაკავშირებით.

გრაფიკი 1

ქართველების დამოკიდებულება გამსახურდიას მიმართ

ეთანხმებით თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილ მოსაზრებებს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას შესახებ?




წყარო: კარნეგის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის ერთობლივი კვლევა, სექტემბერი, 2020

გრაფიკი 2

ქართველების მოსაზრება სააკაშვილის ხელისუფლების ყველაზე დიდი წარუმატებლობის შესახებ

თქვენი აზრით, რა იყო საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის 2004-2012 წლების ხელისუფლების ყველაზე დიდი წარუმატებლობა?



წყარო: კარნეგის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის ერთობლივი კვლევა, სექტემბერი, 2020

მიმდინარე „ბორდერიზაციის“ პროცესის ფონზე, მავთულხლართებისა და ღობეების დამონტაჟებისა და ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების სიახლოვეს ადამიანების დაკავების გამო, საქართველოში დაუცველობის განცდა კიდევ უფრო ძლიერდება. შესაბამისად, „ბორდერიზაციის“ გამო ქართული საზოგადოებრივი დისკურსი, ძირითადად, რუსული ოკუპაციის საკითხისკენაა მიმართული.

ქართული დისკურსი ერთდროულად ახდენს აფხაზებისა და სამხრეთ ოსების, როგორც „უმადურებისა“ და „მარიონეტების“ დემონიზებას და როგორც „ძმებისა და დების“ - რომანტიზებას. მაგალითად, უკრაინის შესახებ 2014 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ინიცირებულ საპარლამენტო რეზოლუციის პროექტში აფხაზი და ოსი დე ფაქტო ლიდერები მოხსენიებული არიან, როგორც „მარიონეტი ლიდერები“, რომლებსაც რუსეთი საკუთარი აგრესიის ლეგიტიმაციისთვის იყენებს. 2019 წელს პარლამენტის სპიკერმა არჩილ თალაკვაძემ განაცხადა: „მნიშვნელოვანია, რომ რეგულაციების სულისკვეთება პირდაპირ ემთხვევა ჩვენს უმთავრეს სტრატეგიულ მიზანს - მშვიდობიან დეოკუპაციასა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზ და ოს ძმებსა და დებთან ერთად ჩვენ მალე დავიწყებთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ საკონსტიტუციო კანონზე მუშაობას“.

ქართული საჯარო დისკურსი აფხაზებსა და სამხრეთ ოსებს წარმოაჩენს, როგორც მოძმე ხალხს, რომლებიც საკუთარი ნების წინააღმდეგ მოწყვიტეს საქართველოს. „ძმებისა და

დების“ ეს ნარატივი ეფუძნება მოსაზრებას, თუ როგორ **ჰარმონიულად** ცხოვრობდნენ ქართველები და აფხაზები, ასევე ქართველები და ოსები 1990-იან წლებამდე. უფრო მეტიც, კონფლიქტის დაწყებამდე (1991 წლამდე) საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაახლოებით **100.000 ოსი** ცხოვრობდა, ხოლო ცხინვალის რეგიონში - **65.000**. მეორე მხრივ, ქართველები მათ „უმადურებადაც“ მიიჩნევენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს დამოკიდებულება ამარტივებს აფხაზებისა და ოსების იმიჯს, იმავდროულად წარმოაჩენს მათ გარკვეულ ნებასაც, რადგან შესწევთ უნარი, არ მიიღონ ქართველების შეთავაზებები.

ეს დისკურსი რამდენადმე შეიცვალა 2012 წელს, როდესაც პაატა ზაქარეიშვილმა, აფხაზებსა და ოსებთან მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე სამოქალაქო აქტივისტმა, სამთავრობო თანამდებობა ჩაიბარა. მისი ინიციატივით სახელი გადაერქვა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს და მას „შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი“ ეწოდა. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს არჩეული „ქართული ოცნების“ მთავრობა შეეცადა გადაეხედა აფხაზებთან და სამხრეთ ოსებთან დაკავშირებული ნარატივისთვის. მაშინდელმა **პრემიერმა ივანიშვილმა მზადყოფნა გამოთქვა** „აფხაზ და ოს ძმებთან პირდაპირი დიალოგისთვის“. თუმცა, ხელისუფლებაში ყოფნის რვა წლის შემდეგ ქართული ოცნების მთავრობამაც ვერ შეძლო არათუ გარდატეხის შეტანა ამ პროცესში, არამედ არსებული რადიკალური ნარატივების გადახედვაც კი. სხვა პოლიტიკური პარტიების მსგავსად, ქართულ ოცნებასაც აკლია კონფლიქტების ტრანსფორმაციის ახლებური და ალტერნატიული ხედვა.

მიუხედავად იმისა, რომ რადიკალური ნარატივები აფხაზებსა და სამხრეთ ოსებთან დაკავშირებით ჯერ ისევ მძლავრია ქართულ პოლიტიკურ დისკურსში, 2013 და 2019 წლებში ჩატარებული **საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის** შედეგების შედარება აჩვენებს, რომ საზოგადოების აღქმა კონფლიქტებსა და მათი გადაჭრის შესაძლო გზებთან დაკავშირებით ნელა და შეუმჩნეველად, მაგრამ მაინც იცვლება. ბოლო დროს ჩატარებული კვლევების მიხედვით, გაზრდილია იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც კონფლიქტების მოგვარების მიზნით კომპრომისზე წასვლას მიზანშეწონილად მიიჩნევს. მაგალითად, 2020 წლის აპრილში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, რესპონდენტთა **69.7 პროცენტი ემხრობა** მთავრობასა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას შორის პირდაპირი დიალოგის დაწყებას. თუმცა, საზოგადოებაში საჯარო დისკურსის მიღმა რამდენად შეიცვალა კონფლიქტის ირგვლივ არსებული ნარატივები, დამატებითი კვლევა სჭირდება.

აღსანიშნავია, რომ მსხვერპლის ნარატივი ასევე ხელს უწყობს ქართულ კონტექსტში აფხაზებისა და სამხრეთ ოსების შესახებ გამარტივებული იმიჯის შენარჩუნებას და, თავის მხრივ, იკვებება იმ რეალური წუხილით, რაც, მრავალ ფაქტორთან ერთად, დაკავშირებულია მიმდინარე „ბორდერიზაციასა“ და იძულებით ადგილნაცვალ მოსახლეობაში საკუთარ სახლებში დაბრუნების იმედის დაკარგვასთან. თუმცა, თუ ქართველები მსხვერპლი არიან, დამნაშავეა არა აფხაზები და ოსები, არამედ რუსეთის ხელისუფლება. ამ სიტუაციაში აფხაზებიც და ოსებიც რუსეთის მსხვერპლია, მიუხედავად იმისა, რომ მათ ეს ამბავი ჯერ არ გაუცნობიერებიათ. მსხვერპლის ნარატივის რადიკალიზაცია კი, თავის მხრივ, ქართულ, აფხაზურ და ოსურ საზოგადოებას შორის არსებულ სოციალურ საზღვრებს ამყარებს.

რატომ მძლავრობს სტერეოტიპები და რადიკალური ნარატივები?

კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებულ საზოგადოებებში სტერეოტიპებისა და რადიკალური ნარატივების შენარჩუნებისა და გაძლიერების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ჯგუფებს შორის პირდაპირი ურთიერთობისა და კომუნიკაციის ნაკლებობა. გორდონ ოლპორტის „ჯგუფთაშორისი კონტაქტის თეორიის“ მიხედვით, გაუცხოებულ საზოგადოებებს შორის სისტემატურ კონტაქტს (სასურველია ინსტიტუტების მხარდაჭერით) სტერეოტიპებისა და მიკერძოებული დამოკიდებულებების შესუსტება შეუძლია. თუმცა, აფხაზური და ოსური საზოგადოებები თითქმის სრულად, როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად, იზოლირებულია ქართული საზოგადოებისგან.

ქართველებს აფხაზებთან უშუალო ურთიერთობის შეზღუდული შესაძლებლობა აქვთ და კიდევ უფრო ნაკლები - სამხრეთ ოსებთან. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული დიალოგისა და ნდობის აღდგენისკენ მიმართული პროექტები ქმნის სივრცეს, სადაც გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს მცხოვრები საზოგადოებების წარმომადგენლებს კონსტრუქციულ გარემოში შეუძლიათ სხვადასხვა საკითხზე მსჯელობა. პირდაპირი კომუნიკაციის გარკვეულ შესაძლებლობას ქმნის სავაჭრო ურთიერთობები და საქართველოს მთავრობის რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უფასო სამედიცინო დახმარებას სთავაზობს კონფლიქტური რეგიონების მცხოვრებლებს. თუმცა, ამ პროგრამით მოსარგებლეთა რიცხვი ჯერ კიდევ მცირეა. მნიშვნელოვანია, რომ მაშინაც კი, როდესაც პირადი ურთიერთობების დამყარება ხერხდება, პოლიტიკური ან უსაფრთხოების ფაქტორების გამო ეს მაინც საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩება.

უშუალო ურთიერთობების არარსებობის ფონზე, ქართულ მედიაში კონფლიქტებზე და არა მშვიდობაზე ორიენტირებული დისკურსი კონფლიქტების შესახებ რადიკალურ ნარატივებს კიდევ უფრო აძლიერებს. ხანგამოშვებით მომზადებული სატელევიზიო სიუჟეტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებულ თემებზე, თითქმის გამონაკლისის გარეშე, აშუქებს მხოლოდ ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების მახლობლად მომხდარ ინციდენტებსა და კონფლიქტის რეგიონებში რუსეთის წაქეზებით მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. მიუხედავად იმისა, რომ განუზომლად დიდია მედიის როლი ჰუმანიტარული კრიზისისა და ადამიანის უფლებების ხელყოფის ფაქტების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში, ახალი ამბების მიწოდების მიდგომა ასევე დიდ გავლენას ახდენს ამ მოვლენების შესახებ საზოგადოებრივი აღქმის ჩამოყალიბებაზე. მაგალითად, მედია „ბორდერიზაციის“ ერთადერთ მსხვერპლად ეთნიკურ ქართველებს წარმოაჩენს მაშინ, როდესაც ეს პრობლემა ასევე უარყოფითად მოქმედებს ეთნიკურ აფხაზებსა და ოსებზე. ცხინვალის მიერ Amnesty International-ისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან დაკავებული 549 ადამიანიდან 325 იყო „სამხრეთ ოსეთის მოქალაქე“.

გამყოფი ხაზების ორივე მხარეს „ბორდერიზაციის“ ნეგატიური შედეგების შესახებ უფრო სრული კონტექსტისა და მეტი ინფორმაციის მიწოდება, მხოლოდ ერთი მხარის მსხვერპლად წარმოჩენის ნაცვლად, კონფლიქტით გაყოფილი საზოგადოებების საერთო ინტერესების უკეთ აღქმის შესაძლებლობას შექმნიდა. დამატებით, მედიის მიერ კონფლიქტების გაშუქება მშვიდობის მშენებლობის პროცესების ან კონფლიქტური რეგიონების ლიდერების მხრიდან წამოსული იშვიათი პოზიტიური შეტყობინებების შესახებ კრიტიკული და კონსტრუქციული მსჯელობის სივრცეს არ ქმნის. ერთ-ერთ

ასეთი გზავნილი 2020 წელს აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერის თბილისთან დიალოგისკენ მოწოდება იყო. ახალი ამბების რამდენიმე ონლაინარხი, როგორცაა [Open Caucasus Media](#), [ნეტგაზეთი](#), [რადიო თავისუფლების „ეხო კავკაზა“](#) - პროგრამა და [Jam News](#), ამ პრაქტიკის შეცვლას ცდილობს, მაგრამ ისინი წამყვან მედიადისკურსს ვერ ცვლიან.

როდესაც კონფლიქტებისა და უახლესი ისტორიის კრიტიკული ანალიზის მცდელობაც კი მიუღებელია, იქმნება გარემო, სადაც ნებისმიერ ქართველს, რომელიც გაბატონებული ნარატივებისა და სტერეოტიპების ეჭვქვეშ დაყენებას ეცდება, „მოლაღატისა“ და „რუსეთის აგენტის“ იარლიყის მიკერების საფრთხე ემუქრება. ეს თვითშეზღუდვები ჯგუფის შიდა რეფლექსიის პროცესს აფერხებს, რაც მნიშვნელოვანია რადიკალური ნარატივების კრიტიკული გააზრებისთვის.

ქართულ საზოგადოებაში რადიკალური ნარატივების კრიტიკული გააზრების (განსაკუთრებით, თუ ეს შეიძლება უკავშირდებოდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსების როლის გაზრდას) შემაფერხებელ მიზეზთაგან ერთ-ერთია მყარად ფესვგადგმული შიში, რომ ამან შესაძლოა საერთაშორისო დონეზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება გამოიწვიოს. დღევანდელი მდგომარეობით, ეს ნაბიჯი მხოლოდ რუსეთმა და მისმა რამდენიმე მოკავშირემ გადადგა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ CRRC-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, ქართველებისთვის უფრო მნიშვნელოვანია ტერიტორიული მთლიანობა, ვიდრე ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება (იხ. გრაფიკი 3).

შესაბამისად, სწორედ ამ ჭრილში განიხილება კონფლიქტებთან დაკავშირებით თბილისის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება. ტერმინოლოგიის ან დამკვიდრებული ნარატივების შეცვლის ნებისმიერი მცდელობა საქართველოს ეროვნული ინტერესების საფრთხედ განიხილება. საკითხზე [ერთ-ერთი კვლევის](#) დაკვირვებით, „აფხაზური პერსპექტივის სერიოზული განხილვა [...] რუსი აგრესორების გავლენის ქვეშ მოქცევასა და საქართველოს დასუსტებას ნიშნავს“.

დასკვნა

ერთმანეთთან შეუთავსებელი სტერეოტიპები და აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დანარჩენი საქართველოს კონფლიქტებით დამორიშორებულ საზოგადოებებში ღრმად ფესვგადგმული რადიკალური ნარატივები არა მხოლოდ აზიანებს ფართო სამშვიდობო პროცესების პერსპექტივას, არამედ გადაფარავს იმ მნიშვნელოვან პრობლემებს, რომელთა წინაშეც დგას კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობა. მაგალითად, გამყოფი ხაზის მიღმა მცხოვრები ეთნიკური ქართველების ყოველდღიური პრობლემები იჩრდილება რუსულ ოკუპაციასა და „ბორდერიზაციაზე“ მძლავრი აქცენტებით.

აფხაზეთში, გალის რეგიონსა და სამხრეთ ოსეთის ახალგორის რაიონში მცხოვრები ეთნიკური ქართველები მოკლებული არიან ადამიანის საბაზისო უფლებებსაც კი, მაგალითად, პოლიტიკური მონაწილეობის, მიწის საკუთრების და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებებს, რასაც სისტემატურად გმობს საერთაშორისო თანამეგობრობა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების ნებისმიერ დარღვევაზე პასუხისმგებლობა რუსეთს, როგორც ამ რეგიონებზე ფაქტობრივი კონტროლის მქონე ქვეყანას ეკისრება, სოხუმისა და ცხინვალის როლების დაკნინება და მათთან დიალოგის არარსებობა ამ პრობლემების კონსტრუქციული გზით მოგვარების შესაძლებლობას ამცირებს.

ნარატივები, რომლებსაც კონფლიქტები მხოლოდ ერთ - საქართველო-რუსეთის განზომილებამდე დაჰყავს, ყურადღების მიღმა ტოვებს საკმაოდ რთულ და არასასიამოვნო კითხვებს, როგორებიცაა: „რა როლი აქვთ აფხაზებსა და სამხრეთ ოსებს „ბორდერიზაციისა“ და ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების მიმდებარედ ადამიანების დაკავებების პროცესში?“, „რამდენადაა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის იზოლაცია გარედან მართული პროცესი და რამდენად წარმოადგენს ამგვარი პოლიტიკა დე ფაქტო ლიდერების ნებაყოფლობით არჩევანს?“


რადიკალური ნარატივები საზოგადოებაში გაურკვეველობას და მშვიდობის მშენებლობის პროცესის მიმართ უნდობლობის განცდას იწვევს, რაც **ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის** ახლახან გამოქვეყნებულ ანგარიშში მოხსენებულია, როგორც „გაჭიანურებული კონფლიქტის სინდრომი“, ანუ მდგომარეობა, როდესაც „ყველა მხარე შეეგუა, რომ მათი კონფლიქტი უახლოეს მომავალში არ გადაიჭრება და უკვე მორგებულები არიან ამ რეალობას“.

გრაფიკი 3

აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი თუ ნატო და ევროკავშირი?

არჩევანის გაკეთება რომ მოგიწიოთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე კონტროლის აღდგენასა და საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას შორის, რომელს აირჩევდით?

არჩევანის გაკეთება რომ მოგიწიოთ ერთი მხრივ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებასა და მეორე მხრივ, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას შორის, რომელს აირჩევდით? (%)



წყარო: კარნეგის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის ერთობლივი კვლევა, სექტემბერი, 2020

ეს მუდმივად თვითქმნადი რადიკალური ნარატივები კომფორტის ზონას უქმნის თითოეულ საზოგადოებას მაშინ, როდესაც მათი გადახედვის და კრიტიკული გააზრების მცდელობა „ეროვნული ინტერესების“ დაზიანების შიშს იწვევს. შედეგად, დამკვიდრებული ნარატივების კრიტიკული ანალიზისა და მათზე რეფლექსიის ნაკლებობა ქართველებს, აფხაზებსა და სამხრეთ ოსებს შორის სამშვიდობო პროცესების წარმატების შესაძლებლობებს ამცირებს.

ავტორების შესახებ

ნათია ჭანკვეტაძე არის ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კარტერის სახელობის მშვიდობისა და კონფლიქტების მოგვარების სკოლის დოქტორანტი. მისი საკვლევითე თემებია: კონფლიქტის ტრანსფორმაცია, საზოგადოებრივი/სათემო მშვიდობის მშენებლობა, იდენტობის ფორმირების პროცესი, სოციალური და სიმბოლური საზღვრები და ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები.

ქეთევან მურუსიძე ცხოვრობს თბილისში და მუშაობს მშვიდობის კვლევებსა და ინიციატივებზე. მისი საკვლევითე თემებია: მშვიდობის მშენებლობა, კონფლიქტის ტრანსფორმაცია, ადგილობრივი შესაძლებლობები მშვიდობისათვის, სამშვიდობო პროგრამების მონიტორინგი და შეფასება, მშვიდობის შენარჩუნება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები.

პროექტი „საქართველოს მომავალი“ ხორციელდება კარნეგის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის მიერ შვედეთის სამთავრობო ოფისისა და ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

შენიშვნები

დოკუმენტში წყაროები მითითებულია ე.წ. ჰიპერლინკებად, რომლებიც ძირითადი ტექსტიდან მწვანე ფრად არის გამოყოფილი.

© 2021 Carnegie Endowment for International Peace. ყველა უფლება დაცულია.

კარნეგის ფონდი არ გამოხატავს ინსტიტუციურ პოზიციას პოლიტიკის საკითხების მიმართ. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და ისინი შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ფონდის, მისი თანამშრომლების ან სამეურვეო ორგანოს წევრების მოსაზრებებს.